



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №126



2016 წლის 5 დეკემბერი

ხაშური

ხაშურში „აგარის“ ქუჩის გაგრძელებისათვის „აგარის“ ქუჩის სახელწოდების

მინიჭების შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინიციატივით მომართა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ხაშურში, აგარის ქუჩის გაგრძელებისათვის (დარჩენილი უსახელო მონაკვეთი) „აგარის“ ქუჩის სახელის მინიჭებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გასატარებლად. აღნიშნული საკითხი შესწავლილი იქნა და გაიგზავნა გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედ სამთავრობო კომისიაში, საიდანაც მიღებული იქნა თანხმობა,

საქართველოს ორგანული კანონის „ადილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე.“ ქვეპუნქტის, „გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის 2016 წლის 13 სექტემბრის სხდომის ოქმი №7- ს საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ხაშურში „აგარის“ ქუჩის გაგრძელებას მიენიჭოს „აგარის“ ქუჩის სახელი დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებას განკარგულების გაგზავნა „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების შესაბამისად განსაზღვრული სახელმწიფო ორგანოებისათვის.
3. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, სარჩელის წარდგენის გზით, ერთი თვის განმავლობაში, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ხაშური, კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე

3

ვაჟა შუბითიძე

